



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492114810

თარიღი:28/05/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 32

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (საკ.კოდი N29.07.32.290; საექიმო ამბულატორია) განთავსებული 79.1 კვ.მ. ფართის სარგებლობის უფლებით, სამედიცინო საქმიანობის განხორციელების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821145161, 25/05/2021) წერილი, რომელშიც ექიმის ჯულიეტა ირემადის განცხადების საფუძველზე, ითხოვს თანხმობას, აღნიშნულ პირს სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის, 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (საკ.კოდი N29.07.32.290; საექიმო ამბულატორია) განთავსებული 79.1 კვ.მ. ფართი

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ექიმ ჯულიეტა ირემადეს სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის, 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (საკ.კოდი N29.07.32.290; საექიმო ამბულატორია) განთავსებული 79.1 კვ.მ. ფართი.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

